სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
№ 01-072101

ქ. თბილისი 2022 წელი

ერთი მხრივ, *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“* (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი მისი უფროსის **თამარ ფიცხელაურის** სახით და მეორე მხრივ, *შპს „სანნა“* **(ს/კ 404508154)**, (შემდგომში ,,მიმწოდებელი”), წარმოდგენილი მისი დირექტორის მინდობილი პირის **ნინო პაპასქირის** სახით (მინდობილობა **№210816002**) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-სათვის საჭირო **1 (ერთი)** ერთეული კედლის საათის **(CPV39254120 – კედლის საათები)** სახელმწიფო შესყიდვა.

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის ზუსტი აღწერა და რაოდენობა მოცემულია დანართი N1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3 ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **32.15 (ოცდათორმეტი ლარი და თხუთმეტი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.**

3.2 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს;

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: **სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს“ 2022 წლის საკუთარი ხარჯები.**

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიწოდებული საქონლის მიხედვით მიღება–ჩაბარების აქტების საფუძველზე და სხვა დოკუმენტაციის (საგადასახადო ანგარიშფაქტურა, სასაქონლო ზედნადები) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველის კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 ინსპექტირებას „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ეკონომიკური სამსახურის უფროსის საფინასო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი.*

6 საქონლის მიწოდებისა პირობები

6.1 მისაწოდებელი საქონელი უნდა აკმაყოფილებდეს დანართი N1–ში მოცემულ ტექნიკურ მახასიათებლებს.

6.2 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს **ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში.**

6.3 საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს შემდეგ მისამართზე, **ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N158.**

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია გადასცეს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი. საქონელი უნდა იყოს ახალი, ქარხნული და არა მეორადი.

7 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს *სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტოს" ეკონომიკური სამსახურის უფროსის საფინასო და ბუღალტრული აღრიცხვა-ანგარიშგების სამმართველოს უფროსი.*

8 პასუხისმგებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.2. ხელშეკრულების პირობების არაჯეროვანი ან/და ვადაგადაცილებით შესრულების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესასრულებელი ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

8.3. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 10% ოდენობით;

8.4. ხელშეკრულების ნაწილობრივ შესრულების შემთხვევაში, მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

8.5. ზემოაღნიშნული პირგასამტეხლოების გადახდა მოხდება მიმწოდებლისთვის ასანაზღაურებელი თანხიდან გამოქვითვის საშუალებით ან მის მიერ ამ თანხის გადახდით შემსყიდველის წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.6. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.7. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია **ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

10 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11 ხელშეკრულების შეწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის შესახებ.

11.1.1. ხელშეკრულების შეწყვეტა ხდება ურთიერთშეთანხმების გაფორმების გზით, მაგრამ შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეებს უფლება აქვთ გამოიყენონ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შესაძლებლობა, რომლის შესახებ წერილობით უნდა ეცნობოს მხარეს.

11.1.2. ხელშეკრულების შეწყვეტისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.

11.1.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.

11.2. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:

11.2.1. მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ან შემსყიდველის მიერ გაგრძელებულ ვადებში არ შეუძლია უზრუნველყოს მომსახურების მიწოდება;

11.2.2. მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული, რომელიმე ვალდებულება.

11.2.3. შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

11.2.4. მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;

11.2.5. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში. მათ შორის მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ნებისმიერი ისეთი დარღვევის დროს, რაც შეუძლებელს ხდის ნორმალური სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებას, ან იწვევს შემსყიდველის ინტერესის დაკარგვას სახელშეკრულებო ურთიერთობის გაგრძელებისადმი. ასეთი შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება;

11.2.6. მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა და თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;

11.2.7. მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია მოახდინოს ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე.

12 ფორს-მაჟორი

12.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13 სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14 უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15 ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16 შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17 გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18 დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ელექტრონულად ქართულ ენაზე, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

19. მხარეთა რეკვეზიტები:

შემსყიდველი:
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“
საიდენტიფიკაციო კოდი: 204559691
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №150
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESGE22
ტელ: 243 95 45

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

თამარ ფიცხელაური

LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Digitally signed by LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY
Date: 2022.07.21 13:04:14 +04'00'

მიმწოდებელი:
შპს „სანნა“
საიდენტიფიკაციო კოდი: 404508154
მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N158.
ბანკი: სს „თიბისი ბანკი“
კოდი: TBCGE22
ა/ა GE 93 TB 7359 6360 2010 0005
ტელ.: +995 32 294 04 99
ელ. ფოსტა: lawyer@dgholding.ge

_____

დირექტორის მინდობილი პირი

ნინო პაპასქირი

შეთანხმებულია:

სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს და შპს „სანნა“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულების დანართი N1

N	შესყიდვის ობიექტის დასახელება	ტექნიკური მახასიათებლები	მწარმოებელი კომპანია	რაოდენობა	ერთ. ფასი დღგ-ს ჩათვლით (ლარი)	ჯამი
1	კედლის საათი	30 სმ დიამეტრი	ასორტ პლასტმ	1	32.15 ლარი	32.15 ლარი
			სულ ჯამი დღგ-ს ჩათვლით			32.15 ლარი

თ. ფიცხელაური

_____

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსი

თამარ ფიცხელაური

დირექტორის მინდობილი პირი

ნინო პაპასქირი

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ სსიპ „გარემოს ეროვნულ სააგენტოსა“ და შპს „სანნა“ (ს/კ 404508154) შორის, ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს და მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

_____ თამარ ფიცხელაური

_____ თეიმურაზ მთივლიშვილი

_____ მარიამ ხვედელიძე

_____ მაია სისვაძე

_____ ზვიად მანჯგალაძე

_____ მამუკა ოძელაშვილი

_____ მიხეილ ჭვინაშვილი

_____ ილონა არღვლიანი